ხელშეკრულება #2812/01-20

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 28 დეკემბერი,2020 წელი

შპს „ქლაუდ ცხრა"(შემდგომში "მიმწოდებელი" ან ,,რეგისტრატორი")
საიდენტიფიკაციო კოდი: 405063755
იურიდ. მის: თბილისი, ნუცუბიძის ქ. IV მ/რ ფერდობის გაგრძელებაზე (ნაკვეთი #7)
ფაქტ.მის:თბილისი, წერეთლის გამზ.#2,ოფისი 11
ტელეფონის ნომერი: 242 40 02
ელ-ფოსტა: contact@cloud9.ge
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი"
ა/ა GE59TB 7050436080100004
წარმოდგენილი მისი დირექტორის, თეონა მარტაშვილის მიერ;

სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია" (შემდგომში „ რეგისტრანტი, ან შემსყიდველი")
საიდენტიფიკაციო კოდი: 204953050
იურიდ. მის: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქ. №50/18
ფაქტ.მის:მის: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქ. №50/18
ტელეფონის ნომერი: 2921667
ელ-ფოსტა: post@comcom.ge
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი"
ა/ა GE11TB0600000000609326
წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის,კახი ბექაურის მიერ;

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის ა) ქვეპუნქტისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, CPV 72100000

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. "მომსახურების ხელშეკრულება" ან "ხელშეკრულება"- შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - #2 დანართით განსაზღვრული თანხა/თანხები, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ დანართ #1 ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. "დღე", "კვირა", "თვე", "წელი" - კალენდარული დღე, კალენდარული კვირა, კალენდარული თვე.

1.4. "ფიზიკური სერვერი" – „მიმწოდებლის" კუთვნილი ფიზიკური სერვერი, რომელიც დროებით სარგებლობაში გადაეცემა „შემსყიდველს" და რომლის ადმინისტრირებასაც უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

1.5. "წერილობითი შეტყობინება" – მხარეების მიერ ერთმანეთისათვის წერილობითი ფორმით, საფოსტო, ელექტრონული ფოსტის საშუალებით, გაგზავნილი/ შეტყობინება

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. "შემსყიდველი" ავალებს, ხოლო "მიმწოდებელი" ვალდებულებას იღებს დროებით სარგებლობაში გასცეს გამოყოფილი ფიზიკური სერვერი და გაუწიოს მასთან დაკავშირებული მომსახურება; დროებით სარგებლობაში გასაცემი სერვერის აღწერა მოცემულია დანართში #1-ში.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ძალაში შესვლის პირობები

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელისმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით;

3.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ვადაა 2021 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. ხელშეკრულების ღირებულება და გადახდის წესი

4.1. ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების საერთო ღირებულებაა **4980** (ოთხი ათას ცხრაას ოთხმოცი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

4.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განფასება მოცემულია დანართ #2-ში.

4.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გადახდის წესი განსაზღვრულია დანართ #2-ით.

4.4. მომსახურების ღირებულების დარიცხვა იწყება აქტივაციის თარიღიდან.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

5.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

5.1.2. საკუთარი შეხედულებისამებრ ისარგებლოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებით კალენდარული დღის ნებისმიერ მონაკვეთში;

5.1.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება გამოიყენოს ნებისმიერი მიზნებისათვის, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

5.1.4. განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი. ინსპეტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სპექტრის და ტექნოლოგიის დეპარტამენტის ტექნოლოგიის ჯგუფის ინფრასტრუქტურისა და ქსელების მთავარი სპეციალისტი დავით ქუთათელაძე და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ქსელური ინფრასტრუქტურის წამყვანი სპეციალისტი აკაკი სურგულაძე, რომლებიც არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

5.2.1 გაეცნოს და შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების წესები და პირობები;

5.2.2 დროულად მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების გადახდა;

5.2.3. მიმწოდებელს შეუქმნას სათანადო პირობები მასზე დაკისრებული მოვალეობის სათანადოდ შესრულების უზრუნველსაყოფად;

5.2.4 განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები

5.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

5.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

5.3.2. ანგარიშსწორების ვადის 3 (სამი) დღეზე მეტხანს დარღვევის შემთხვევაში (ანუ აღნიშნულ ვადაზე მეტ ხანს დავალიანების ქონის შემთხვევაში) გაუგზავნოს შემსყიდველს შეტყობინება მომსახურების მოსალოდნელი შეზღუდვის თაობაზე იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი

შეტყობინებით დადგენილ ვადაში არ განახორციელებს ანგარიშსწორებას. შემსყიდველის მიერ შეტყობინებით დადგენილ ვადაში ანგარიშსწორების განუხორციელებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია შეუწყვიტოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

5.3.3. შეუჩეროს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება თუ:

5.3.4. შემსყიდველი არ ითვალისწინებს მომსახურების მიწოდების ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს;

5.3.5 დროულად არ იხდის მიწოდებული მომსახურების საფასურს;

5.4. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

5.4.1. უზრუნველყოს მომსახურების 24 საათიანი მონიტორინგი და მხარდაჭერა ელ. ფოსტისა და ტელეფონის მეშვეობით;

5.4.2. მოახდინოს ფიზიკური სერვერის სარეზერვო კოპირება.

5.4.3. უზრუნველყოს სერვერი:
უწყვეტი ელ -ენერგიით ;
ადგილობრივ რესურსებთან 1 გბ/წმ უწყვეტი კავშირით;
საერთაშორისო რესურსებთან 10 მბ/წმ უწყვეტი კავშირით;
3 გლობალური IP მისამართით;
გლობალური ქსელიდან ხელმისაწვდომობა ხელშეკრულების მოქმედების
ვადის მინიმუმ 99.99% დროით;

6. მომსახურების მიწოდების პირობები;

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალსიწინებული მომსახურების მიწოდება მიმწოდებლის მიერ ხორციელდება კალენდარული დღის 24 საათის განმვალობაში უწყვეტად, გარდა იმ შემთხვევებისა როცა მიმწოდებელი აწარმოებს პროფილაქტიკურ და სარემონტო სამუშაოებს.

6.2. პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოების შესახებ მიმწოდებელმა ხუთი სამუშაო დღით ადრე წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს შეტყობინებაში მითითებული უნდა იქნეს პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოების დაწყებისა და დასრულების თარიღი, სამუშაოების სახეები და შესაძლებლობის შემთხვევაში ალტერნატივა, რომლითაც თავიდან იქნება აცილებული მომსახურების გაწევის შეჩერება

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით,ხელშეკრულების მე-8 მუხლის შესაბამისად.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

8.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება მხარეთა შეთანხმებით, წერილობითი ფორმით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების წესისა და პირობების ნებისმიერი ცვლილებების თაობაზე შეატყობინოს შემსყიდველს არა უგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღით ადრე

9. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძვლები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

9.1.1. წინამდებარე ხელშეკრულების 3.1 მუხლით გათვალისწინებული ვადის გასვლა;

9.1.2. ერთი-ერთი მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება;

9.1.3. შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელი მომსახურების ღირებულების გადახდის ვადის 1 (ერთი) თვეზე მეტი ხნით დარღვევა.

9.1.4. მხარეთა წერილობითი შეთანხმება.

9.1.5. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.2. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის წინამდებარე მუხლით განსაზღვრული უფლება შემსყიდველს აქვს იმ შემთხვევაში, თუ ბალანსი არის ნულოვანი, ანუ შემსყიდველს სრულად აქვს შესრულებელი მიმწოდებლის წინაშე ნაკისრი ყველანაირი ფინანსური ვალდებულება.

9.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავის გადაწყვეტა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ყველა საკითხი, მხარეთა შეთანხმებით მოწესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა დავას, უთანხმოებას და პრეტენზიას მხარეები წყვეტენ ურთიერთ მოლაპარაკების გზით. მხარეებს, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ნებისმიერ დროს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს სასამართლოს.

11. ფორს-მაჟორი

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისაგან, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით.

11.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, უნდა გასწიოს მაქსიმალური ძალისხმევა, რათა დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

11.4. ფორს-მაჟორული გარემოებების პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი გრძელდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა. თუ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გაგრძელდა სამ თვეზე მეტი დროით, თითოეული მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება ხელშეკრულების შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით (ელექტრონული ფოსტით) ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებით.

12. დასკვნითი დებულებები

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

12.2. ამ ხელშეკრულების რომელიმე მოთხოვნის ან პირობის ბათილობა არ მოახდენს გავლენას წინამდებარე ხელშეკრულების დანარჩენი პირობებისა და მოთხოვნების იურიდიულ ძალაზე,. მხარეები ასევე თანხმდებიან, რომ ყოველ ღონეს იხმარენ რათა შეცვალონ გაუქმებული ან ძალადაკარგული პუნქტები ახლით, თავდაპირველად შეთანხმებული შედეგების მისაღწევად, რათა შეინარჩუნონ წინამდებარე ხელშეკრულების მიზანი და ვადა.

12.3. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

12.4. სათაურები ხელშეკრულებაში გამოიყენება მხოლოდ მოხერხებულობის მიზნით და გავლენას არ ახდენს ხელშეკრულების განმარტებაზე.

12.5. ის საკითხები, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებს შორის და რომელიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, გადაწყდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12.6. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

12.7. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი პირი ვადასტურებ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად.

13. მხარეთა ხელმოწერები:

შპს „ქლაუდ ცხრის“ დირექტორი	**კომისიის თავმჯდომარე**
თეონა მარტაშვილი	**კახი ბექაური**

დანართი N1

(ხელშეკრულება N2812/01-20)

ქ. თბილისი 28 დეკემბერი,2020 წელი

შპს „ქლაუდ ცხრა"(შემდგომში "მიმწოდებელი" ან ,,რეგისტრატორი")
საიდენტიფიკაციო კოდი: 405063755
იურიდ. მის: თბილისი, ნუცუბიძის ქ. IV მ/რ ფერდობის გაგრძელებაზე (ნაკვეთი #7)
ფაქტ.მის:თბილისი, წერეთლის გამზ.#2,ოფისი 11
ტელეფონის ნომერი: 242 40 02
ელ-ფოსტა: contact@cloud9.ge
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი"
ა/ა GE59TB 7050436080100004
წარმოდგენილი მისი დირექტორის, თეონა მარტაშვილის მიერ;

სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია" (შემდგომში „ რეგისტრანტი, ან შემსყიდველი")
საიდენტიფიკაციო კოდი: 204953050
იურიდ. მის: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი/ზოჭორმის ქ. №50/18
ფაქტ.მის:მის: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი/ზოჭორმის ქ. №50/18
ტელეფონის ნომერი: 2921667
ელ-ფოსტა: post@comcom.ge
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი"
ა/ა GE11TB0600000000609326
წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის,კახი ბექაურის მიერ;

დროებით სარგებლობაში გასაცემი გამოყოფილი ფიზიკური სერვერის პარამეტრები:

Intel(R) Xeon(R) CPU E5-2640 0 @ 2.50GHz
Ram: 24GB
SSD: 2x500GB RAID1
ვირტუალიზაციის სისტემა: Vmware ESXi 6.5

ხელმომწერი პირები:

შპს „ქლაუდ ცხრის" დირექტორი

თეონა მარტაშვილი

კომისიის თავმჯდომარე

კახი ბექაური

დანართი N2

(ხელშეკრულება N2812/01-20)

ქ. თბილისი 28 დეკემბერი,2020 წელი

შპს „ქლაუდ ცხრა"(შემდგომში "მიმწოდებელი" ან ,,რეგისტრატორი")
საიდენტიფიკაციო კოდი: 405063755
იურიდ. მის: თბილისი, ნუცუბიძის ქ. IV მ/რ ფერდობის გაგრძელებაზე (ნაკვეთი #7)
ფაქტ.მის:თბილისი, წერეთლის გამზ.#2,ოფისი 11
ტელეფონის ნომერი: 242 40 02
ელ-ფოსტა: contact@cloud9.ge
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი"
ა/ა GE59TB 7050436080100004
წარმოდგენილი მისი დირექტორის, თეონა მარტაშვილის მიერ;

სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია" (შემდგომში „ რეგისტრანტი, ან შემსყიდველი")
საიდენტიფიკაციო კოდი: 204953050
იურიდ. მის: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქ. №50/18
ფაქტ.მის:მის: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქ. №50/18
ტელეფონის ნომერი: 2921667
ელ-ფოსტა: post@comcom.ge
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი"
ა/ა GE11TB0600000000609326
წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის,კახი ბექაურის მიერ;

1. "მიმწოდებლის" მიერ გამოყოფილი ფიზიკური სერვერის დროებით სარგებლობაში გაცემის და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის ყოველთვიური ღირებულებაა **415** ლარი დღგ-ს ჩათვლით.
2. მომსახურების ღირებულების გადახდა ხორციელდება ყოველთვიურად, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის შემსყიდველის მიერ დადასტურებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

ხელმომწერი პირები:

შპს „ქლაუდ ცხრის" დირექტორი

თეონა მარტაშვილი

Cloud 9 LLC Digitally signed by Cloud9 LLC Date: 2020.12.28 14:10:32 +04'00'

კომისიის თავმჯდომარე

კახი ბექაური

GEORGIAN NATIONAL COMMUNICATIONS COMMISSION Digitally signed by GEORGIAN NATIONAL COMMUNICATIONS COMMISSION Date: 2020.12.28 13:29:55 +04'00'